წმინდა მიწაზე ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული აღინიშნა

2021 წლის 27 აგვისტოს საღამოს, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულის წინა დღეს, იერუსალიმის რუსული სასულიერო მისიის წმინდა სამების სახელობის ტაძარში, მისიის ხელმძღვანელმა არქიმანდრიტმა ალექსანდრემ (ელისოვი) და რუსული სასულიერო მისიის სასულიერო პირებმა ღამისთევის მსახურება აღასრულეს. აქებდითის სადიდებელზე ტაძრის სამღვდელოების მიერ ტაძრის შუაგულში ღვთისმშობლის ყვავილებით შემკული სუდარა იქნა გამობრძანებული.

28 აგვისტოს გეთსამანიაში, ღვთისმშობლის საფლავთან, წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის უნეტარესმა პატრიარქმა თეოფილე III საღვთო ლიტურგია აღავლინა. მის უნეტარესობას

თანამსახურებდნენ იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები, კაპიტოლიადის მიტროპოლიტი ისიქი, ლიდიის მთავარეპისკოპოსი დიმიტრი, ყატარის მთავარეპისკოპოსი მაკარი და ელენოპოლის მიტროპოლიტი იოაკიმე, ასევე რუსული სასულიერო მისიის წევრი მღვდელმონაზონი დომეტიანე (მარქარიანი), წმინდა საფლავის ძმობის კლირიკოსები.

ამავე დღეს, რუსული სასულიერო მისიის წმინდა სამების სახელობის ტაძარში, რუსული სასულიერო მისიის ხელმძღვანელმა არქიმანდრიტმა ალექსანდრემ (ელისოვი), მისიის მდივნის იღუმენ ნიკონისა (გოლოვკო) და ქებრონის წმინდა მამამთავართა სახელობის მეტოქის მეკლიტის მოვალეობის დროებით შემსრულებელის, მღვდელმონაზონ ამბროსის (იგნატოვი) თანამსახურებით ლიტურგია აღასრულა, რომელზეც დაახლოებით 100-მდე მორწმუნე მიეახლა ქრისტეს წმინდა საიდუმლოს. ლიტურგიის დასრულებისას მისიის სასულიერო პირებმა ტაძრის შუაგულში დღესასწაულის სადიდებელი შეასრულეს.

რუსული სასულიერო მისიის პრეს-სამსახურის ინფორმაციის მიხედვით/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87924/